

საქართველოს კანონი
თბილისის ეროვნული პარკის
შესახებ

მუხლი 1. ძირითადი დებულებანი

1. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილის იშვიათი და დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკოტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით აღდგენილ იქნეს თბილისის ეროვნული პარკი (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ტერიტორიის ფარგლებში), გაფართოვდეს იგი თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს სატყეო მეურნეობების ტყის ფონდის მიწების ნაწილისა და აგრეთვე საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ხარჯზე და მისი საერთო ფართობი განისაზღვროს სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი 24044 ჰექტარით. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობს მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს მიენიჭოს დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის სტატუსი.

2. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობს მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები მოიცავს:

ა) თბილისის ეროვნული პარკის გაუქმებამდე არსებული მდგომარეობით მის დაქვემდებარებაში შემავალ 17553 ჰექტარს, მათ შორის სატყეოების (სატყეო უბნების), კვარტალებისა და ლიტერების (სატაქსაციო უბნების) მიხედვით:

ა.ა) ღუღელების სატყეოს (სატყეო უბნის) №9-54 კვარტალებს – სულ, ამავე სატყეოს (სატყეო უბნის) ფარგლებში, 4485 ჰექტარს;

ა.ბ) ცხვარიჭამიის სატყეოს (სატყეო უბანს) მთლიანად (კვარტალები №1-38) – სულ 3726 ჰექტარს;

ა.გ) გლდანის სატყეოს (სატყეო უბნის) №1-33 კვარტალებს, №34 კვარტალის №1-13 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), №39 კვარტალის №1-11 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) და №40 კვარტალს – სულ, ამავე სატყეოს (სატყეო უბნის) ფარგლებში, 4024 ჰექტარს;

ა.დ) მამკოდის სატყეოს (სატყეო უბანს) მთლიანად (კვარტალები №1-38) – სულ 71 ჰექტარს;

ა.ე) ავჭალის სატყეოს (სატყეო უბნის) №1-5 კვარტალებს და №6 კვარტალის №1-43 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) – სულ, ამავე სატყეოს (სატყეო უბნის) ფარგლებში, 688 ჰექტარს;

ა.ვ) მარტყოფის სატყეოს (სატყეო უბნის) №1-29 კვარტალებს, №30 კვარტალის №1-63 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), №31 კვარტალს, №32 კვარტალის №1-33 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), №33-35 კვარტალებს, №36 კვარტალის №1-2, №4-6 და №9-10 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), №37 კვარტალის №2-9, №16-17 და №22-27 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) და №38 კვარტალის №1-6, №10-15 და №23-27 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) – სულ, ამავე სატყეოს (სატყეო უბნის) ფარგლებში, 4133 ჰექტარს;

ა.ზ) თბილისის ზღვის სატყეოს (სატყეო უბანს) მთლიანად (კვარტალები №1-6) – სულ 426 ჰექტარს;

ბ) თიანეთის სატყეო მეურნეობის ბოჭორმის სატყეოს (სატყეო უბნის) №19-21 კვარტალებს – სულ, ამავე სატყეო მეურნეობის ტერიტორიის ფარგლებში, 518 ჰექტარს;

გ) მცხეთის სატყეო მეურნეობის 472 ჰექტარს, მათ შორის ამავე სატყეო მეურნეობის სატყეოების (სატყეო უბნების), კვარტალებისა და ლიტერების (სატაქსაციო უბნების) მიხედვით:

გ.ა) გაღაგნის სატყეოს (სატყეო უბნის) №28 კვარტალის №26-28 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), №30 კვარტალის №1-8, №11 და №14-17 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), №31 კვარტალის №1-13 და №18 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), №32 კვარტალის №1-4 და №6 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) და №33 კვარტალს – სულ, ამავე სატყეოს (სატყეო უბნის) ფარგლებში, 308 ჰექტარს;

გ.ბ) მცხეთის სატყეოს (სატყეო უბნის) №16 კვარტალის №1-22 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) – სულ, ამავე სატყეოს (სატყეო უბნის) ფარგლებში, 164 ჰექტარს;

დ) საგარეჯოს სატყეო მეურნეობის გომბორის სატყეოს (სატყეო უბნის) №1 კვარტალს – სულ, ამავე სატყეო მეურნეობის ტერიტორიის ფარგლებში, 122 ჰექტარს;

ე) საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიას მოლიანად (სატყეოებად /სატყეო უბნებად/ დაყოფის გარეშე არსებული კვარტალები №1-43) – სულ 5359 ჰექტარს.

3. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობს მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სატყეოების (სატყეო უბნების), კვარტალებისა და ლიტერების (სატაქსაციო უბნების) მიხედვით ამ მუხლით განსაზღვრული აღწერის საფუძველს წარმოადგენს:

ა) „თბილისის ეროვნული პარკის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყეთმოსწილობის მეორე თათბირის 1993 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული თბილისის ეროვნული პარკის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების 1993-2003 წლებისათვის შედგენილი პროექტი;

ბ) „თიანეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყეთმოსწილობის მეორე თათბირის 1992 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული თიანეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების 1992-2002 წლებისათვის შედგენილი პროექტი;

გ) „მცხეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყეთმოსწილობის მეორე თათბირის 1992 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული მცხეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების 1992-2002 წლებისათვის შედგენილი პროექტი;

დ) „საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყეთმოსწილობის მეორე თათბირის 1992 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების 1992-2002 წლებისათვის შედგენილი პროექტი;

ე) „საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ”

საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყეთმომწობის მეორე თათბირის 1992 წლის 4 თებერვლის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების 1991-2001 წლებისათვის შედგენილი პროექტი.

მუხლი 2. თბილისის ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. თბილისის ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (მათ შორის ეროვნული პარკის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია – ზონირება) განისაზღვრება ამ კანონის, საქართველოს კანონმდებლობისა და თბილისის ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმის შესაბამისად.

2. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობს მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და ისინი გასხვისებას არ ექვემდებარება.

მუხლი 3. გარდამავალი დებულებანი

1. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობს მიკუთვნებული ტერიტორიის ინვენტარიზაციის, სამიწათმომწობო და საკადასტრო დოკუმენტაციის შექმნისა და მომზადების ორგანიზაციის სამუშაოები წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის ეროვნული პარკის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულის ფორმირებამდე და ამგვარი ერთეულის დაქვემდებარებაში თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობს მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გადაცემამდე, თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის მართვა (ეროვნული პარკის, როგორც დაცული ტერიტორიის კატეგორიის ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის უზრუნველყოფის ჩათვლით) ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალისა და ამავე სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სატყეო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების მიერ.

3. თბილისის ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმის ამოქმედებამდე, ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვრცელდება დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის (ბირთვის) ზონისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დაცვის რეჟიმი.

4. თბილისის ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული იქნეს ამ კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „საქართველოს სსრ ზოგიერთი ნაკრძალის აღდგენის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აპრილის №196

დადგენილების (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1957 წ., №4) პირველ პუნქტის ჩამონათვალის მე-5 აბზაცი;

ბ) „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის №143 დადგენილების (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1973 წ., №5) მე-3 პუნქტი;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის №372 დადგენილება „საგურამოს ეროვნული პარკისათვის სახელის გადარქმევის შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1979 წ., №3, მუხ.40).

დ) „ს.ს.რ. სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1986 წლის №120 ბრძანება „დიდგორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობისათვის 20.ჰა. ფართობის მიკუთვნების შესახებ““

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი.

თბილისი,
2006 წლის